დახედე, გადააბრუნე, დაწერე, შეამოწმე

მოსწავლეები იმახსოვრებენ სიტყვის ბარათებზე მოცემულ სიტყვებს, ჩაწერენ მათ ფურცელზე, შემდეგ კი გადაამოწმებენ დაწერილს.

კლასი: I-II

მუშაობის ფორმა: ინდივიდუალური, წყვილები.

რესურსი: სიტყვის ბარათები.

მსვლელობა

- მასწავლებელი აძლევს თითოეულ მოსწავლეს რამდენიმე სიტყვის ბარათს.
- მოსწავლეები შეხედავენ სიტყვის ბარათს რამდენიმე წამით, დაიმახსოვრებენ, რა წერია და ბარათს გადააბრუნებენ.
- მოსწავლეები გაიხსენებენ, რა სიტყვა წერია ბარათზე და დაწერენ მას ფურცელზე/ რვეულში.
- დაწერის შემდეგ მოსწავლეები ამოაბრუნებენ სიტყვის ბარათს და შეამოწმებენ, სწორად დაწერეს თუ არა ესა თუ ის სიტყვა. შეცდომის შემთხვევაში შეასწორებენ ნაწერს. იმავეს იმეორებენ ყველა ბარათზე.